

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და შიდა კომუნიკაცია
კოვიდ-19-ის ფონზე საქართველოში

სალომე პოპიაშვილი

მაკა მუხაბე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, საზოგადოებრივი ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან კბილაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ რუსუდან კვიციანიას სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისთვის, ბატონ თორნიკე გურულას, საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელს გაწეული რეკომენდაციებისთვის და კვლევაში მონაწილე თითოეულ ადამიანს, საკუთარი აზრებისა და შეხედულებების დაფიქსირებისთვის.

აბსტრაქტი

კორპორაციული შიდა პასუხისმგებლობა და ორგანიზაციული ეთიკა როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხია. ვინაიდან მიმართულება არც თუ ისე ძველია, აუცილებელია მასზე მეტი დაკვირვების, კვლევების და დისკუსიების გამართვა, რათა უფრო განვითარდეს შრომითი ურთიერთობები დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის და დაუახლოვდეს სასურველ სტანდარტებს.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გამოარკვიოს დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის კომუნიკაციის ხარისხი, კოვიდ-19-ის პანდემიის ფონზე და გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები, ხომ არ გაუარესდა ვითარება ამ კუთხით, რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს არასწორმა და არასაკმარისმა შიდა კომუნიკაციამ დასაქმებულების ფსიქოლოგიურ და შრომითუნარიანობის ასპექტებზე. ასევე აუცილებელია დადგინდეს, ხომ არ დაირღვა დასაქმებულების უფლებები ამ მხრივ და რა დამოკიდებულება აქვთ მათ ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობაზე.

ამ საკითხების შესაფასებლად, ჩატარდა რაოდენობრივი და სამაგიდო კვლევა, რომელიც პანდემიის ფონზე განხორციელდა დისტანციურად. შედეგად დადგინდა, რომ შექმნილი ვითარების გამო ორგანიზაციებში გაიზარდა სტრესი და გაჩნდა მეტი მოთხოვნილება შიდა კომუნიკაციის უფრო მაღალი ხარისხის არსებობისთვის, ამავდროულად გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციებმა ოპერატიულად მოახდინეს ადაპტირება ახალ გარემოებებთან, პასუხისმგებლობით მოეკიდნენ არსებულ საფრთხეებს და გადავიდნენ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. დადგინდა, რომ დასაქმებულები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კორპორაციულ პასუხისმგებლობას და ითხოვენ უფრო მაღალ სტანდარტებს. კვლევამ აჩვენა, რომ ვითარება არ ყოფილა ცალსახა და რიგ შემთხვევებში ბიზნესმა აჩვენა კომუნიკაციისა და ადამიანის უფლებებზე ზრუნვის მოსალოდნელზე მაღალი დონეზე, აღსანიშნავია, რომ გარკვეულ შემთხვევაში სიტუაცია ნეგატიურად შეფასდა.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, შიდა კომუნიკაცია. ორგანიზაციული ეთიკა. შრომითი ურთიერთობები. კოვიდ-19.

Abstract

Corporate Social Responsibility and the Organizational Ethics represents the one of the main issues worldwide and in Georgia, as well. While the field is not very old, it needs more studies, researches and the discussions, to increase the level of corporate relationships between the employers and the employees and to reach the desired standards.

Considering the worldwide pandemics of 2020, which has changed the organizational structures, peoples' lives and therefore has increased the danger of not giving the special emphasis on the corporate social responsibility and the workers' rights, because of the superiority of fights to survive. Thus, the need to give more attention to the organizational behavior and the communication level between the employers and employees has increased. Also, the need to update the action plans and strengthen the relationships on the labour market has increased.

The purpose of the given research is to identify the level of the communication between the companies and its employees considering the Covid 19 pandemics and to make the necessary findings regarding the situation and its possible worsening, identify the influence of the internal communications on the humans psychological and the working performance level. Also, it is important to verdict the human rights level during the period and the attitude of the workers to the social responsibility.

To evaluate the above issues, studies has been conducted, which has had the online nature, because of the epidemic situation. As a result, we have identified that the stress level has increased in the companies and the need to have higher standards of the internal communication has been in deficit, At the same time, it was made clear that the organizations were promptly adapting to the new circumstances, taking responsibility for the existing threats and moving to a remote working mode. Employees give the special attention to the corporate social responsibility and ask for the higher standards. The research showed that the situation has not been univocal and in

some cases business has shown the higher level than expected on the human rights and in other cases, the results have been negative.

Key Words: Corporate Social Responsibility, Internal Communications, Organizational Ethics. Working Relationships. Covid-19.